



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 163 (3393)
22
1967 წ.
აგვისტო,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების
კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций
Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის
24-ე წელი.

I „ა" კლასი ჯგუფი

ალმა-ათა, 20 აგვისტო. გუშინ აქ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. ადგილობრივი „კაირატი" ეთამაშა ლიდერთა ჯგუფში მყოფ „შახტიორს". ერთადერთმა ბურთმა, რომელიც 23-ე წუთზე გაიტანა ვოლოხმა, გამარჯვება მასპინძლებს მოუტანა.

„ტყავის ბურთის პრიზზე"

„ნაკადულის" ბრწყინვალე გამარჯვება

დონის როსტოვი, 21 აგვისტო. დღეს აქ გაიმართა უმცროსი ასაკის ნორჩ ფეხბურთელთა III საკავშირო გათამაშების ფინალური მატჩი „ტყავის ბურთის პრიზზე". ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ნაკადული" და კიევის „ენთუზიასტი".

თამაში თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, თუმცა დროდადრო უკრაინელი ნორჩებიც მწვავედ უტევდნენ მეტოქის კარს. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

და აი, ძალაში შევიდა დებულების ის მუხლი, რომლის მიხედვითაც გუნდებმა ერთმანეთს 8-მეტრიანი საჯარიმოები დაურტყეს. პირველმა სერიამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 5-5 დარტყმიდან მეტოქეებმა თითო გააფუჭეს. სამაგიეროდ, მეორე სერიაში თბილისელებმა იმარჯვეს და საერთო ჯამში 2 ბურთის უპირატესობით მიაღწიეს წარმატებას — 8:6.

III ადგილი დაიკავა ელისტის „ოგონიოკმა", ხოლო IV — კიროვაბადის „გიანჯამ".

გამარჯვებულებს თავიანთ მშობლიურ ქალაქში მიაქვთ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, გაზეთ „პიონერსკაია პრავდას" და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მთავარი პრიზი — „ბროლის ბურთი". „ნაკადულის" მოთამაშეებმა საჩუქრად მიიღეს, აგრეთვე, საბჭოთა ნაკრების წევრთა ავტოგრაფებით დამშვენებული ბურთი.

• • •

სპორტული ზეიმი „როსტსელმაშის" სტადიონზე დამთავრდა საინტერესო საერთაშორისო მატჩით: ბავშვთა ადგილობრივმა ნაკრებმა მოუგო თანატოლთა გუნდს უნგრეთის ქალაქ ბარჩადან — 2:1.

მთავარი ბრძოლები წინაა

გორკი, 21 აგვისტო. „ტყავის ბურთის პრიზზე" უფროსი ასაკის ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი დასასრულს უახლოვდება — მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინაა.

თბილისის „ცისკარამ" დაამარცხა ლიტველი თანატოლები (1:0), ხოლო ერევნის „უისმა" — უზბეკეთის წარმომადგენლები — 3:2.

დაწინაურდნენ თბილისელები

მოსკოვი, 21 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). 15 აგვისტოს აქ დაიწყო ნორჩ დინამოელ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრების ფინალური ეტაპი. ამ დღეს თამაშები ასე დამთავრდა: თბილისი — ბათუმი 0:0, მოსკოვი — ხმელნიცკი 4:0, მახაჩყალა — ბრიანსკი 1:0.

17 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები: თბილისი — ბრიანსკი 3:0, მოსკოვი — მახაჩყალა 4:0, ბათუმი — ხმელნიცკი 1:1.

გუშინწინდელი შეხვედრები ასე დამთავრდა: თბილისი — მოსკოვი 1:0, ბათუმი — ბრიანსკი 1:1, ხმელნიცკი — მახაჩყალა 2:1.

3 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ თბილისელები — 5 ქულა. 4 ქულით II ადგილზე არიან მოსკოველები.

გ. გაგუა,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

თუმცა თასი შევინარჩუნეთ...

ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში დამთავრდა ევროპის თასის გათამაშება წყალში ხტომაში.

ასპარეზობის მეორე დღეს ბრძოლაში ჩაებნენ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან მხტომელები. მაყურებლებმა კვლავ იხილეს შესანიშნავი გერმანელი სპორტსმენი ქალი ი. გულბინი (კრემერი). ხანგრძლივმა შესვენებამ (ინგრიდი დედა გახდა) ვერ შეარყია ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონის უჭკნობი ოსტატობა. ინგრიდი უწინდებურად მსუბუქად, მოხდენილად ხტებოდა. მან დამსახურებულად მოიპოვა ოქროს მედალი და კონტინენტის თასი. გულბინის გამარჯვება იმაზეც მეტყველებს, რომ იგი ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი იქნება მეხიკოს 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლისა.

წარუმატებლად გამოვიდნენ წინასწარ ხტომებში საბჭოთა სპორტსმენი ქალები. ვ. ბაკლანოვა მეხუთე იყო, ხოლო ევროპის 1965 წლის თასის მფლობელი თ. პოგოჟევა — XII. ქების ღირსია ბაკლანოვა: ფეხდაშავებულმა ქალმა ნამდვილი მებრძოლური თვისებები გამოამჟღავნა და III საპრიზო ადგილი დაიკავა.

უფრო ხეირიანად გამოვიდნენ საბჭოთა ვაჟები წინასწარ ხტომებში: მ. საფონოვი I ადგილზე იყო, ხოლო ვ. ვასინი — V. მაგრამ ბოლო ორ ნახტომში წარუმატებლობამ საფონოვი III ადგილზე გადასწია, ხოლო ვასინმა საბოლოოდ V ადგილი დაიკავა. გაიმარჯვა იტალიელმა ჯ. კანიოტომ.

უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა თბილისელი ბ. პოლულიახი, რომელმაც დიდი უპირატესობით მოიგო სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის ოქროს მედალი სწორედ ტრამპლინიდან ხტომაში.

ბოლო დღეს გაიმართა ვაჟთა ხტომები 10-მეტრიანი კოშკიდან. ოქროს მედალს დაესაკუთრა ევროპის თასის შარშანდელი მფლობელი, იტალიელი კ. დიბიასი.

ამრიგად, შეჯიბრება დამთავრდა. საბჭოთა ნაკრებმა მოიგო ასპარეზობის სამი სახეობა ოთხიდან და შეინარჩუნა გარდამავალი თასი. მაგრამ ამან თვალებზე ლიბრი არ უნდა გადაგვაკრას, ვინაიდან პირად შეჯიბრებებში უხეიროდ ვიასპარეზეთ: ვერცხლის 1 და ბრინჯაოს 3 მედალი. არც ერთი „ოქრო".

ასეთია წყალში ხტომის საბჭოთა ოსტატების არც თუ ისე სახარბიელო შედეგები მეხიკოს ოლიმპიური თამაშების წინ.

სპორტული საათი...

◆ **კალიარი (სარდინია), 21 აგვისტო.** ევროპის კალათბურთელ გოგონათა II ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე საბჭოთა გუნდმა წარმატებით აიღო სტარტი — დაამარცხა უნგრეთის ძლიერი კოლექტივი — 62:30. როგორც იტალიური გაზეთი „კორიერო დელო სპორტი" წერს, „საბჭოთა სპორტსმენებმა განსაკუთრებული ტექნიკა გამოავლინეს". სხვა ფინალური მატჩები ასე დამთავრდა: იტალია — ჩეხოსლოვაკია 44:76, იუგოსლავია — პოლონეთი 51:41. ბულგარეთის გუნდი ისვენებდა.

◆ **ბუდაპეშტი, 21 აგვისტო.** უნგრეთში წარმატებით იასპარეზა სსრ კავშირის იუნიორ კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა, რომელმაც ოთხივე თამაში მოიგო. ბოლო მატჩში სტუმრებმა დიდი ანგარიშით (102:32) დაამარცხეს მასპინძელი ქვეყნის ნაკრები.

◆ **სან-რემო (იტალია), 21 აგვისტო.** აქ დაიწყო ახალგაზრდა ფეხბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. მოსკოვის „ბურევესტნიკი" შეჯიბრების სტარტზე შეხვდა მასპინძელთა კლუბ „ნაპოლის". მატჩი დამთავრდა ფრედ—1:1. ამავე წინასწარ ჯგუფშია მეორე იტალიური კლუბი „მილანიც". მანამდე იტალიელებმა ერთმანეთში ფრედ (0:0) ითამაშეს და ახლა ამ ჯგუფში გამარჯვებულის საკითხს გადაწყვეტს მატჩი „ბურევესტნიკი" — „მილანი".

◆ **ვოლენი (შვეიცარია), 21 აგვისტო.** „500-ანების" კლასში მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ეტაპზე ყველას აჯობა ცნობილმა მოტოკროსმენმა პ. ფრიდრიჰსმა (გდრ), რომელმაც ადრევე გაინაღდა ჩემპიონის წოდება. საბჭოთა მოტოციკლისტი გ. დრაუგსი VI ადგილზეა.

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ ჩვენს გამოჩენილ სპორტსმენებს, რომელთაც ბევრჯერ უსახელებიათ ქართული სპორტი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც.

მართალია, საქართველოს ტანმოვარჯიშე ქალთა ლიდერმა ა. ჯანუყაშვილმა სპარტაკიადაში თავის შესაძლებლობაზე ნაკლებად იასპარეზა, მაგრამ ეს არაფერია: ჯანუყაშვილის მიზანდასახულობა და შრომისმოყვარეობა მომავალ გამარჯვებათა საწინდარია.

მთლად ყურადღებად ქცეულა გ. საღარაძე, რომელმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანა თავისუფალი სტილის ქართველ მოჭიდავეთა ნაკრების „ოქროს გამარჯვებაში".

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).
მოსკოვი.

გ. ლიტვინოვას ოქროს 3 მედალი

მოსკოვი, 20 აგვისტო. „დინამოს" საწყლოსნო სადგურში (ხიმკი) დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი საწყლოსნო-სათხილამურო სპორტში. დიდი წარმატება ხვდა წილად 18 წლის გ. ლიტვინოვას (დუბნა). მან გაიმარჯვა ერთი და ორი თხილამურით სლალომში, II ადგილი დაიკავა ტრამპლინიდან ხტომაში და საბოლოოდ სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდებაც მოიხვეჭა. ნიჭიერმა სპორტსმენმა ოქროს 3 მედალი მოიპოვა.

რუმინელ თანატოლებთან — 8:2

მოსკოვი, 20 აგვისტო. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის აუზში გუშინ გაიმართა სსრ კავშირის ახალგაზრდა წყალბურთელთა ნაკრების შეხვედრა რუმინელ თანატოლებთან. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 8:2. ნამდვილ სნაიპერად გამოიჩინა თავი მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა, 18 წლის ა. როდიონოვმა — საბჭოთა ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშემ. მეტოქის კარში მან 3 ბურთი გაიტანა. ნაკრების ღირსებას იცავდა თბილისის „დინამოს" თავდამსხმელი ჯ. ისელიძე.

მეტი ყურადღება

ფიზკულტურისა და სპორტის საკითხების პროპაგანდის ორგანიზაციას ჩვენს რესპუბლიკაში სპორტკავშირის ლექციური პროპაგანდის ფედერაცია და საზოგადოება „ცოდნას“ სამეცნიერო-მეთოდური საბჭო ხელმძღვანელობენ. ამ კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან ფიზიკური აღზრდის დარგში მომუშავე პროფესორ-მასწავლებლები, მეცნიერ-მუშაკები, სპორტის ვეტერანები, მწვრთნელები, სპორტსმენები — ადამიანები, რომლებიც უშუალო მოწმენი არიან ჩვენი წარმატებებისა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. რა თქმა უნდა, მათ შესწევთ უნარი მეთოდური დახმარება აღმოუჩინონ რაიონში მომუშავე ლექტორებს, თავი მოუყარონ საუკეთესო სპორტსმენებს საჩვენებელი გამოსვლებისთვის. ამ მიმართულებით ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩატარდა: დაზუსტდა, დამტკიცდა, გამრავლდა (სტამბური წესით) და ყველა რაიონს დაეგზავნა ლექციური პროპაგანდის სანიმუშო თემატიკა. ამასთან, რაიონული სპორტკავშირების ხელმძღვანელებს სთხოვეს მოემზადებინათ ლექციების ერთი-ორი ტექსტი აქტუალურ თემაზე. შემოწმდა ლექციური პროპაგანდის მდგომარეობა ბევრ რაიონში, გაეწიათ მეთოდური დახმარება ლექტორებს.

შარშან ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე წაკითხულ იქნა 6683 ლექცია, წლეულს კი, იანვრიდან ივლისამდე — 3016.

ეს ცოტა როდია. საკავშირო თათბირ-სემინარზე, რომელიც თებერვალში ჩატარდა მოსკოვს, საგანგებოდ აღინიშნა: საქართველოში იზრდება წაკითხული ლექციების რიცხვიო. თუმცა მათი რაოდენობა საკმარისი ჯერ კიდევ არ არის. რაც მთავარია, ამ მხრივ ყველგან ერთნაირი სურათი როდია: ზოგ რაიონში სულ არ იკითხება ლექციები, არ ტარდება საუბრები, ზოგან კი ძალიან იშვიათად.

წლევანდელი წლის პირველ ნახევარში ყველაზე მეტი ლექცია თბილისში ჩატარდა — 567. აფხაზეთში 255 ლექციაა წაკითხული, ქუთაისში — 154 (ძალზე ცოტაა), აჭარაში — 85. თუ ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ზესტაფონში (78), ზუგდიდში (98), რუსთავში (77), მახარაძეში (61), სამხრეთ ოსეთში მხოლოდ 33 ლექციაა წაკითხული. უფრო ცუდადაა საქმე მაიაკოვსკში, თერჯოლაში, წყალტუბოში, თიანეთში, გეგეჭკორში, ჩოხატაურში, ცაგერში, წალკაში, ლაგოდეხში, თეთრ წყაროში (18-დან 23 ლექციამდე); ონსა და ყაზბეგში ჯერჯერობით 12 ლექცია წაუკითხავთ, ორჯონიკიძეში — 8, ბორჯომში — 7, ასპინძაში — 5.

ძალიან ცუდად გვაქვს გამოცდილი ლექტორების რაიონებში მივლინების საქმე. 1966 წელს მათ მხოლოდ 33 ლექცია წაიკითხეს, 1967 წლის პირველ ნახევარში კი — 19. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სპორტის მოწინავე სპეციალისტები, განსაკუთრებით კი ფიზკულტურის ინსტიტუტის ხელმძღვანელი მუშაკები, აგრეთვე, მასწავლებლები და მწვრთნელები აქტიურად მონაწილეობდნენ ამ საპატიო, მნიშვნელოვან საქმეში.

ლექციური პროპაგანდის ფედერაციას და „ცოდნას“ სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოს ძალიან გაუჭირდათ ლექციებთან ერთად მოწინავე სპორტსმენების საჩვენებელი გამოსვლების გამართვა რაიონებსა და ქალაქებში (თუმცა მათი გამართული ლექციები და საუბრები კარგად შეაფასეს ადგილობრივმა გაზეთებმა). ამის მიზეზი ნაწილობრივ ისიც იყო, რომ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში გაძნელდა გამოსვლებისთვის მოწინავე სპორტსმენებისა

სპორტული წვრთნის ხელმძღვანელობის თაობაზე

სხვადასხვა სახეობის უცხოელი და საბჭოთა მწვრთნელები, სპორტის სპეციალისტები, მეთოდისტები ამ ბოლო დროს დიდ ყურადღებას უთმობენ საკითხს, თუ როგორ გაზარდონ საწვრთნელი პროცესის ეფექტურობა მისი რაციონალური ორგანიზაციის საფუძველზე.

ცნობილია, რომ მწვრთნელისა და მისი მოწაფის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი არ შეიძლება იყოს მარტივი და მრავალი ფაქტორით განსაზღვრება. ძირითადი პრობლემა, რომელიც დღეს მსჯელობის საგნად იქცა, არის ეგრეთ წოდებული „ავტორიტარული“ და „დემოკრატიული“ ტიპის მწვრთნელთან მუშაობის საკითხი.

ეს საკითხი არ შეიძლება არ აღელვებდეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ (და არა მარტო სპორტულ) საზოგადოებრიობასაც. სწორედ ამიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ მასზე შეჩერება.

საქმე ეხება საკმაოდ გავრცელებულ მოვლენას. არიან ეგრეთ წოდებული მწვრთნელი დიქტატორები (ზოგიერთი მათ „თვითმპყრობელური“ ტიპის მწვრთნელებს უწოდებს), რომლებიც საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე გამწვავებული სპორტული კონკურენციის დროს, უმაღლესი მიღწევების ზრდისას და საწვრთნელი პროცესის დაგეგმვისას თავის ნება-სურვილსა და განზრახვებს თავს ახვევენ მოწაფეებს, მუშაობენ არა სპორტსმენებთან, არამედ, ასე ვთქვათ, სპორტსმენებზე. ასეთი ტიპის მწვრთნელებისთვის დამახასიათებელია კატეგორიული მსჯელობის უაპელაციობა, მბრძანებლის კილო და მოქმედება.

„ავტორიტარული“ ტიპის მწვრთნელი განსაზღვრავს წვრთნის საერთო მიმართულებას და მის ყველა წვრილმანს, თავად ღებულობს ყველა გადაწყვეტილებას, იშვიათად აცხადებს თავის გეგმას წინასწარ. ხელმძღვანელობის ასეთ მანერას თან სდევს უხეშობა, თავშეუკავებელი ტონი და მუქარაც კი. ეს იწვევს შაბლონს, სპორტსმენების შემოქმედებითი აზროვნების დაჩლუნგებას, ინიციატივის კლებას. სპორტსმენს ფაქტიურად ერთმევა ხმის უფლება. ამას კი შედეგად მტრული, დაძაბული დამოკიდებულება მოსდევს.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ „ავტორიტარულობის“ სისტემას, რომელიც დაკავშირებულია რეგლამენტაციასა და განსაზღვრულობასთან, მტკიცე დისციპლინასთან, ერთი პიროვნების ბატონობასთან, მაინც შეუძლია მოგვცეს და იძლევა კიდეც სასურველ შედეგებს.

ხელმძღვანელობის მეორე, ეგრეთ წოდებული „დემოკრატიული“ ტიპი საგრძნობლად განსხვავებულია. წვრთნის საერთო მიმართულება და დეტალები აქ უკვე თავისუფალი მსჯელობის საგანია. ყოველგვარი საქმიანი კრიტიკა მიიღება მადლიერებით, სპორტსმენებს არა მარტო აქვთ მსჯელობის უფლება, არამედ ევალებათ კიდეც დამოუკიდებელი აზროვნება — მონაწილეობა წვრთნის დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების გამოტანაში.

ასეთი მეთოდით მუშაობისას მწვრთნელი ტაქტიანად იძლევა რჩევა-დარიგებას, რეკომენდაციებს, მომეცადინეებთან ერთად განიხილავს წვრთნის სხვადასხვა ვარიანტსა და მოსალოდნელ შედეგებს. მწვრთნელი მუდამ ობიექტურია. იგი ღებულობს ახალ-ახალ წინადადებებს და არ ემინია პრესტიჟის დაკარგვისა მაშინაც კი, როცა თავის გადაწყვეტილებას აღსაზრდელთა სურვილის მიხედვით ცვლის. პირველ რიგში იგი სპორტსმენთა ინტერესებს აყენებს.

ხელმძღვანელობის ასეთი წესი ახალი როდია. სავსებით სწორია ნიჩბოსნობის ინგლისელი მწვრთნელის ფერბერნის აზრი: „ადამიანის წვრთნა საჭიროა ისე, რომ იგი თვით იწვრთნებოდეს“. მწვრთნელის ხელოვნება სწორედ ისაა, რომ რაც შეიძლება იშვიათად გადააჭარბოს თავის ფუნქციებს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისა და მწვრთნელების დიდმა უმეტესობამ „ავტორიტარული“ ხელმძღვანელობის წესს დაუჭირა მხარი.

რასაკვირველია, ხელმძღვანელობის მტკიცე, შეუპოვარი წესის უარყოფა არ იქნება სავსებით სწორი, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებელია ფართო გასაქანი მიეცეს სპორტსმენთა ინიციატივას, შეიქმნას საერთო შემოქმედებითი ვითარება. ეს ყველაზე უფრო მიზანშეწონილ გზად უნდა ჩაითვალოს.

„დემოკრატიული“ მეთოდის მომხრეა ყველა ის სპორტსმენი, ვინც „ავტორიტარულ“ მწვრთნელთა ხელმძღვანელობა გამოსცადა. უფრო მეტიც, — ვინც სწორედ ასეთი ხელმძღვანელობის დროს მიაღწია დიდ სპორტულ შედეგებს. სპორტსმენს აღარ სურს დაუფიქრებლად შეასრულოს განკარგულებები, რომელთა შინაარსი და საფუძვლები მისთვის უცნობი და გაუგებარია.

ამას გარდა, ბევრი თავად პოულობს გამოსავალს. ხშირია შემთხვევები, როცა სპორტსმენები გარეგნულად თითქოს ემორჩილებიან მწვრთნელის ბრძანებასა და მითითებებს, სინამდვილეში კი დამოუკიდებლად წყვეტენ ამა თუ იმ საკითხს წვრთნისა და შეჯიბრების დროს. ამგვარი კონფლიქტი საშიშია იმითაც, რომ მწვრთნელის მითითების მიმართ გულგრილი დამოკიდებულება სპორტსმენს ნებისყოფას უსუსტებს, უკარგავს ინტერესს შეჯიბრებისადმი, ბრძოლისადმი.

მწვრთნელების უმეტესობა იმიტომ მიმართავს „ავტორიტარულ“ ხელმძღვანელობას, რომ იგი უფრო იოლია განსახორციელებლად. სპორტული ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელისა და მწვრთნელისთვის განკარგულების გაცემა გაცილებით ადვილია კოლექტიური შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნაზე. ხელმძღვანელობის ასეთი მეთოდი დროის ეკონომიასაც იძლევა, რადგან ბრძანება და მითითება მსჯელობას გამორიცხავს.

„დემოკრატიული“ მეთოდი უფრო მიზანშეწონილია იმიტომაც, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება დავასწავლოთ სპორტსმენებს წვრთნის დამოუკიდებლად ჩატარება, დამოუკიდებელი მოქმედება დაძაბული და მეტად მნიშვნელოვანი ასპარეზობის დროსაც კი.

აშკარაა, რომ წვრთნის მართვის ეს წესი დიდ მოთხოვნებს უყენებს მწვრთნელსა და სპორტსმენს. ამიტომ შესაძლებელია მისი გახორციელება მუდამ არ იყოს იოლი, მაგრამ ცდით კი ამას ყველა უნდა ცდილობდეს. „დემოკრატიული“ მეთოდით მუშაობა შესაძლებელია მაღალი კლასის (ოსტატები, პირველთანრიგოსნები) და, ამასთან, ინტელექტუალურ სპორტსმენებთან. ახალბედა და ჭაბუკ სპორტსმენებთან ამ გზის გამოყენება არ შეიძლება. გუნდურ სახეობებში (განსაკუთრებით, სპორტულ თამაშებში) ცხადია, ეს მეთოდი გაცილებით ძნელი გამოსაყენებელია. ყოველი გუნდი მუდმივ ხელმძღვანელობას მოითხოვს. „დემოკრატიული“ წესის მიმდევარი მწვრთნელის ხელოვნება ის არის, რომ გუნდთან მსჯელობის შედეგად, სპორტსმენებთან შეთანხმებით წვრთნა საჭირო გზით წარმართოს.

ბევრი გამოჩენილი სპორტსმენი თავის დიდ წარმატებას ფსიქოლოგიურ მომზადებას უკავშირებს და განიხილავს მას, როგორც განსაზღვრული აღზრდის შედეგს. ხშირად იხსენებენ გამოჩენილი ფიზიკოსის, ნობელის პრემიის ლაურეატის, დანიელი მეცნიერის ნილს ბორის აზრს. მან აღნიშნა სპორტის უკუმოქმედების დიდი გავლენა გონებრივი მუშაობის უნარზე. იგი თავად თამაშობდა დანიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში.

არსებობს მწვრთნელის მესამე ტიპიც. ეს მწვრთნელი „სხვათა შორის“ მუშაობს, წვრთნას და შეჯიბრებებს გულგრილად ეკიდება, სპორტსმენს უსაზღვრო ძალაუფლებას ანიჭებს. ასეთი მწვრთნელი მით უფრო დიდ სარგებლობას მოუტანს სპორტს, რაც უფრო ადრე შეიცვლის პროფესიას.

ლ. გიორგაძე,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მძლეოსნობაში.

რაიონებში სპორტსმენები

ზესტაფონი

გაიმართა სოფლის სპორტსმენთა რაიონული პირადი პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ტურნირი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: თ. ვარდოსანიძემ (ზედა საქარის კოლმეურნეობა), ა. ბუაძემ, მ. ზარნაძემ, ჯ. ქაცარიძემ (სამივე — არგვეთის საბჭოთა მეურნეობა), გ. შეყრილაძემ (ზესტაფონის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი), გ. მუმლაძემ (მეორე სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა). ქვემძიმე და მძიმე წონებში შეჯიბრება არ ჩატარებულა.

ა. განუგრაა.

პრიზები ლალ

მოსკოვში არსებობს ერთი საინტერესო მუზეუმი, რომელიც მნახველის თვალწინ თანმიმდევრულად შლის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გზას ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა სპორტსმენების მიღწევებს.

აი, მაგალითად რამდენიმე საინტერესო ციფრი, რომლებსაც ფიზკულტურისა და სპორტის მუზეუმში გაეცნობით: სსრ კავშირში აშენდა 2400 სტადიონი, ტანვარჯიშის 30 ათასი დარბაზი, მოეწყო ფეხბურთის 64 ათასი მინდორი, 80 ათასი ხელოვნური აუზი, 305 ათასი სპორტული მოედანი. ჩვენს ქვეყანაში დანერგილია სპორტის 50-ზე მეტი სახეობა. ფიზკულტურას და სპორტს 46 მილიონზე მეტი ადამიანი მისდევს. საბჭოთა სპორტის საძირკველი მასობრიობაა. I საკავშირო სპარტაკიადაში, რომელიც 1928 წელს გაიმართა, სულ 6638 ფიზკულტურელი მონაწილეობდა, სსრ კავშირის ხალხთა I სპარტაკიადაში კი (1956 წელს) უკვე 23 მილიონი სპორტსმენი ჩაება. IV საიუ-

ბილეო სპარტა
ჩვენი ქვეყნის 57
ონი ფიზკულტ
ცდიდა ძალას.
მუზეუმის ერ
განყოფილება სა
ომის მონაწილე ფ
ტურელებს ეძ
ბევრი მათგანი პა
ნულ რაზმებში იყ
რთიანებული. ბ
ისახელა თავი გმ
საგანგებო დანი
ბის ბრიგადამ, რ
სპორტსმენებისგან
გებოდა. ბევრმა
ცნობილმა სპორ
სიცოცხლეც შესწ
მშობლოს და

ცხენისწყ

„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ალპინისტური ბანაკი აილამა ცხენისწყლის სათავეში სოფელ ყორულდაშთანაა (ლენტეხის რაიონი), გადაშლილი. ბანაკს გადმოსცქერიან ცანა (3550 მ), წურუნგალა (4241 მ), აილამა (4544 მ), ნამყვამი (4278 მ), ვახუშტი (3877 მ).

აილამა ორიოდე წლის წინ გაიხსნა, მაგრამ ამ მოკლე ხანშიც საკმაო პოპულარობა მოიხვეჭა. საიდან არ ჩამოდიან ამ ბანაკში — საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ხარკოვიდან, ერევნიდან...

წლევანდელი სეზონი 11 ივნისს გაიხსნა, ხოლო ბოლო ნაკადს 3 სექტემბერს მიიღებენ.

ბანაკის მუშაობის მთავარი მიზანი ალპინიზმის მოყვარულთა თანდათანობითი დაოსტატებაა. სასწავლო პროგრამის სრულად გავლის შემდეგ უკვე თანრიგოსან სპორტსმენებს დიდი სარბიელი ელით.

ახალბედები

მთელი სეზონის მანძილზე ბანაკში ახალბედები სჭარბობენ. მათი სასწავლო პროგრამა თოკზე კვანძების კეთებით იწყება.

პირველ დღეებში სავარჯიშოდ იყენებენ ეგრეთ წოდებულ „კლდოვან ლაბორატორიებსაც“, სწავლობენ ასვლას, დაშვებას, დაზღვევას. შემდეგ ეწყობა ორდღიანი, სამდღიანი, ხუთდღიანი ლაშქრობები. ახალბედები ეჩვევიან ბალახოვან და ნაშალ ფერდობებზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალექციო პროპაგანდას!

და მწვრთნელების შერჩევა, ვერ მოხერხდა ნაკრები გუნდების წევრებთან ლექცია-საუბრების ჩატარება.

ვიმედოვნებთ, რომ სექტემბერ-ოქტომბრიდან საინტერესო ლექციებით და მიმზიდველი სპორტული გამოსვლებით კვლავ შევხვდებით ახალგაზრდობას. ცხადია, ამას ხელი უნდა შეუწყონ ადგილობრივმა სპორტკავშირებმა და „ცოდნას" განყოფილებებმა.

გარკვეულ მეთოდურ ხელმძღვანელობას ვუწევთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტების მუშაობას.

„ცოდნა" ყოველწლიურად აქვეყნებს ორ, ხან სამ ბროშურასაც ფიზკულტურისა და სპორტის აქტუალურ საკითხებზე. სამწუხაროდ, 1967-1968 წლებისთვის მხოლოდ თითო ბროშურა დაიგეგმა საზოგადოების გამგეობის მიერ. საჭიროა გაფართოვდეს დამხმარე მეთოდური მასალების მომზადება და გამოცემა, რაც მკვეთრად გააუმჯობესებს ლექციების ხარისხს.

რაიონებში ლექციური პროპაგანდის უკეთ წარმართვას ხელს უშლის ადგილობრივი კადრების ნაკლებობა. ბევრ რვაწლიან სკოლაში დღესაც მუშაობენ არასპეციალისტი მასწავლებლები. რა თქმა უნდა, კვალიფიციურ ლექციაზე ლაპარაკიც ზედმეტია. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ლექცია წაიკითხოს მოუმზადებელმა ლექტორმა.

ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხების პროპაგანდის გაფართოებისა და გაუმჯობესებისთვის გარკვეული მუშაობა ტარდება, მაგრამ საორგანიზაციო-მეთოდური ხელმძღვანელობის სასურველ დონეს ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ.

სწორად იყო აღნიშნული გაზეთ „პრავდაში", რომ ლექციები უმეტესად სპორტული შეჯიბრებების გაშუქებას ეძღვნება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წლევანდელი წელი საიუბილეოა და ამიტომ ყველა ლექციაში უნდა ვაჩვენოთ ფიზკულტურისა და, განსაკუთრებით, სპორტის სოციალური და ეკონომიური მნიშვნელობა ხალხის არა მარტო ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის (თუმცა ეს მისი სპეციფიკური მხარეა), არამედ მომეცადინეთა ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისთვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის აგვისტოს დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ სწორად ორგანიზებული ფიზიკური აღზრდის პროცესი, სპორტული წვრთნა საბჭოთა ხალხის სულიერი და მორალური სრულყოფის საუკეთესო და აქტიური საშუალებაა. სხვათა შორის, ჩვენი ფიზკულტურული აქტივის ამასწინანდელ პლენუმზეც აღინიშნა, რომ ფიზკულტურული ორგანიზაციები სუსტად იყენებენ საზოგადოება „ცოდნას" დიდ შესაძლებლობებს პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესებისთვის, ნაკლებად იკითხება ლექციები სპორტის ეროვნულ სახეობებზე, მთამსვლელობასა და ფიზიკური აღზრდის სხვა მნიშვნელოვან საშუალებებზე.

სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ჩატარება. კარგი იქნება, თუ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ლექტორთა ჯგუფი და ინსტიტუტის ხელმძღვანელობა იზრუნებენ „ახალგაზრდა ლექტორთა სკოლის" შექმნისთვის.

ვ. ელაშვილი,
საქართველოს სპორტკავშირის ლექციური პროპაგანდის ფედერაციისა და საზოგადოება „ცოდნას" სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე.

ნ. ჩიჟოვა: რიტმი, ძალა, სისწრაფე

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში ნადეჟდა ჩიჟოვამ ბირთვი 17,50 მეტრზე ჰკრა. ამ თავისთავად ბრწყინვალე შედეგმა მაინცდამაინც როდი გაახარა 22 წლის ჩემპიონი.

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, რომ სპარტაკიადა მოვიგე, — თქვა ჩიჟოვამ, — მაგრამ უფრო გამეხარდებოდა, მსოფლიო რეკორდისკენ რომ გამეგზავნა ბირთვი.

ეს გულწრფელი ნათქვამია. ნადეჟდა მაინცდამაინც დიდად არ სწყალობს რეპორტიორებს, მაგრამ მაინც მუდამ იმას ეუბნება, რასაც ფიქრობს. მაგონდება ჩვენი საუბარი ევროპის შარშანდელ ჩემპიონატზე, ბუდაპეშტში. დებიუტანტმა ჩიჟოვამ ყველასთვის მოულოდნელად მოიგო ოქროს მედალი (17,22) და ბედნიერი იყო.

— კმაყოფილი ხარ შედეგით? — ვკითხე მე.

— ძალიან, — მიპასუხა ჩიჟოვამ.— ახლა 18 მეტრსაც რომ მივაღწევდე, მეტი არაფერი მინდა.

— მსოფლიო რეკორდზე არ ფიქრობ?

— არა, — გულახდილად აღიარა ნადეჟდამ. — თამარ პრესის 18,59 სამუდამო რეკორდია. მისი დაძლევა ისევ პრესს თუ შეუძლია.

მას შემდეგ წელიწადიც არ გასულა. დრომ, როგორც ხედავთ, სითამამე შემატა ლენინგრადელ სტუდენტს. შარშანდელი სეზონი მან საკმაოდ კარგი შედეგით (17,39) დაამთავრა. ამ გაზაფხულს ბირთვი რამდენიმეჯერ ჰკრა თითქმის 18 მეტრზე. ივნისში კი, გდრ-ის მძლეოსნებთან გამართულ მატჩში 18,34 მ აჩვენა. უკეთესი შედეგი მთელს მსოფლიოში მხოლოდ თ. პრესს აქვს, მაგრამ მისი რეკორდი უკვე ალარაა საუკუნო, ბეწვზე ჰკიდია და საცაა მოწყდება. ჩიჟოვა მზადაა ახალი იერიშისთვის.

სპარტაკიადის ახალი ჩემპიონი ციმბირელია. ბაიკალის ტბასთან ახლოს, ანგარსკიდან 30 კილომეტრზე, მდინარე ანგარის პირას დგას მარილის მაღაროებით განთქმული ქალაქი უსოლიე-სიბირსკოე, სადაც 73 ათასი კაცი ცხოვრობს. ამ 8 წლის წინ ადგილობრივი სკოლის მეშვიდეკლასელი ნადია ჩიჟოვა პირველად ჩადგა წრეში ლითონის პატარა ბურთით ხელში.

ეს შემთხვევა, რასაკვირველია, ჩვენი ქვეყნის სპორტული ცხოვრების განსაკუთრებულ მოვლენად არავის მიუჩნევია. მომავალი ჩემპიონის დებიუტი მართლაც არ იმსახურებდა მაყურებლის აღტაცებას — 7,38 მ მეტისმეტად მოკრძალებული შედეგია. თავად ნადეჟდას კი, რომელმაც, კაცმა რომ თქვას, შემთხვევით აიღო ხელში ბირთვი, მოეწონა ეს სპორტი. შვიდწლედი რომ დაამთავრა და სამედიცინო სასწავლებელში შევიდა, ჩიჟოვამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი ვარჯიშს ფიზკულტურის მასწავლებელ დ. გლადიშევის ხელმძღვანელობით. ერთი წლის თავზე მისმა ბირთვმა ერთი მეტრით მეტი მანძილი გაიარა.

გლადიშევი ნიჭიერი, აზრიანი მწვრთნელია, მაგრამ ტყორცნის სპეციალისტი არ გახლდათ და ამიტომ ჩიჟოვას ბევრს მაინც ვერაფერს ასწავლიდა. ნადეჟდამ სამედიცინო სასწავლებელი დაამთავრა და ლენინგრადისკენ გაემართა, ფიზკულტურის ინსტიტუტში შევიდა. გლადიშევმა მას ბარათი გაატანა ცნობილ მწვრთნელთან ვ. ალექსეევთან, თ. პრესის აღმზრდელს სთხოვდა ყურადღება მიექცია მისი მოწაფისთვის და დახმარებოდა კიდეც.

აი, როგორ იცვლებოდა წლითი-წლობით ჩიჟოვას პირადი რეკორდი:

1962 წ. — 12,28
1963 წ. — 15,08
(უკვე ლენინგრადში, მაგრამ ალექსეევის დაუხმარებლად)
1964 წ. — 16,60
1965 წ. — 17,34
1966 წ. — 17,39
1967 წ. — 18,34
(სეზონი ჯერ არ დამთავრებულა).

ეს თავისთავად მნიშვნელოვანი ზრდა მით უფრო საოცარია, რომ ჩიჟოვამ 15 წლისამ დაიწყო მეცადინეობა სპორტში. იქნებ წარმატება რაიმე განსაკუთრებულმა ფიზიკურმა მონაცემებმა განაპირობა? არა. ჩიჟოვა ტანად სულ 172 სანტიმეტრია, 83 კილოგრამს იწონის, თამარ პრესი კი ტანად 180 სანტიმეტრია და როცა საუკეთესო ფორმაში იყო, 100-105 კილოგრამს იწონიდა. მაინცდამაინც სუსტი, რა თქმა უნდა, არც ნადეჟდაა, მაგრამ ცნობილ მტყორცნელთა შორის ბალღივით ჩანს.

— რიტმი, ძალა, სისწრაფე — აი, რა იქნება ნადიას მსოფლიო რეკორდის სამი მთავარი საწინდარი, — ამბობს ვ. ალექსეევი. — ძალა ჯერჯერობით კიდევ აკლია.

ჩიჟოვა თავადაც გრძნობს ამას. ჯერჯერობით იგი მხოლოდ 65-კილოგრამიან შტანგას ერევა: თუმცა ძალის განვითარებისთვის ნადიას ყველაზე ნაკლებად შტანგის იმედი აქვს. ალექსეევის მძლეოსნური სკოლის მოწაფეები ძალისმიერ ტანვარჯიშს, აკრობატიკას არჩევენ.

ტექნიკური თვალსაზრისით ბირთვის მკვრელი ჩიჟოვა თითქმის უზადოა. იგი იმდენად არა ალექსეევის, რამდენადაც გალინა ზიბინას უშუალო მეთვალყურეობით ვარჯიშობს. ეს მეგობრობა უანგარო და სათუთია. 1952 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ზიბინა დღემდე მონაწილეობს უდიდეს ტურნირებში. იგი დღესაც ერთ-ერთი უძლიერესია ჩვენს ქვეყანაშიც და მსოფლიო სარბიელზეც. სხვათა შორის, სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში მან II ადგილი დაიკავა ჩიჟოვას შემდეგ. ერთი სიტყვით, მეტოქეები არიან, მაგრამ ზიბინა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მისმა ახალგაზრდა მეგობარმა უფრო შორს ჰკრას ბირთვი, რომ მან უფრო იოლად გაიმარჯვოს. ზიბინასთვის, რომელსაც მრავალი წლის გამოცდილება აქვს, სპორტის არც ერთი საიდუმლო უცხო არაა. მან, რასაკვირველია, ჩიჟოვაზე მეტი იცის, მაგრამ ყველაფრის გაკეთება როდი შეუძლია. მისი საუკეთესო ხანა უკან დარჩა. იქნებ ნადეჟდას წარმატებაში გალინა თავის ახალგაზრდობას ხედავს? დარწმუნებული ვარ, ასეთი მეგობრობა ზრდის ადამიანს. ყოველ შემთხვევაში, მე ვნახე რა მონდომებით, რა გულწრფელად უჩვენებდა ჩიჟოვა თავის მეგობარს ვალენტინა ტიხომიროვას ყველაფერს, რისი სწავლაც თვითონ მოასწრო. ჩიჟოვას (და ზიბინას) დახმარებით ტიხომიროვამ მეტ წარმატებას მიაღწია ბირთვის კვრაში და გააუმჯობესა შედეგი ხუთჭიდში: ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა „ნეპსტადიონზე" იმავე ტურნირში, სადაც მისმა მეგობარმა გაიმარჯვა.

— შენი რომელი ასპარეზობა დაგამახსოვრდა ყველაზე მეტად. ალბათ, ევროპის ჩემპიონატი? — ვკითხე ჩიჟოვას.

— არა, — ჩემდა გასაოცრად მიპასუხა ჩემპიონმა. — შარშანდელ ზამთრის საკავშირო ტურნირში პირველად მოვუგე თამარ პრესს. ღმერთმანი, მაშინ რომ არ მომეგო, სპორტს სამუდამოდ მივატოვებდი.

მესმის მისი. ძნელია გული დაუდო საქმეს, თუ იცი, რომ პირველი ვერასოდეს გახდები. პრესმა კი სპორტული სამყარო დაარწმუნა თავის უძლეველობაში და მასთან გამარჯვებამ, თუნდაც არა სარეკორდო შედეგით, ყოველგვარ მედალზე უკეთ იმოქმედა ნადეჟდაზე.

— ვინ მიგაჩნია მთავარ მეტოქედ?

— მარგიტ გუმელი. გდრ-ის სპორტსმენები საერთოდ ძალიან ძლიერები არიან.

— მოგწონს ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლა?

— მართალი გითხრათ, აღარც ისე. ჩემი ძველი პროფესია მაგონდება და სულ უფრო ხშირად ვფიქრობ სამედიცინო ინსტიტუტზე. მაგრამ ეს უფრო გვიან, ოლიმპიური თამაშების შემდეგ.

ნ. ჩიჟოვამ პირველ დიდ წარმატებას 1964 წლის შემოდგომით მიაღწია. საბჭოთა მძლეოსნები ოლიმპიური ტოკიოს გზას ადგნენ, 15 წლის ნადია კი ვარშავაში ასპარეზობდა იუნიორთა ევროპულ თამაშებში, 16,60 მ აჩვენა და ოქროს მედალი მოიპოვა. ამას მოჰყვა გამარჯვება ევროპის ჩემპიონატში, სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში.

ჩიჟოვას კოლექციაში ოლიმპიური მედალი არ არის. რა ვუყოთ. ნადეჟდას ჯერ არ უცდია ძალა ოლიმპიადაში, ერთი წლის შემდეგ კი მეხიკოს სარბიელი ელის. ვნახოთ!

ა. სრებნიცკი.

• • •

სურათზე: ნ. ჩიჟოვა ასპარეზობისას.

ფოტო ვ. გალაქტიონოვისა.

დებენ

წლების სახსოვრად გამოფენილი ფოტოსურათებიდან შემოგვცქერის.

მუზეუმის მასალები ბევრ საინტერესოს გვიამბობენ საბჭოთა და უცხოელი სპორტსმენების მეგობრობაზე, მათ კავშირზე. ჩვენი ათლეტები 85 სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენებთან მეგობრობენ. მარტო შარშან უცხოეთში ჩვენი 741 დელეგაცია იყო, ჩვენს ქვეყანაში კი 529 უცხოური დელეგაცია ჩამოვიდა სტუმრად. ჩვენებს მუდამ სიყვარულითა და პატივისცემით ხვდებიან.

ამას ადასტურებს მუზეუმში გამოფენილი მრავალი საჩუქარი, სამახსოვრო ნივთი, სუვენირი, რომლებიც საბჭოთა სპორტსმენებს ამერიკიდან და კუბიდან, იაპონიიდან და საფრანგეთიდან, ფინეთიდან და ინდოეთიდან, იტალიიდან და ბევრი სხვა ქვეყნიდან ჩამოუტანიათ. მსურველი ამ ნივთების ნაწილს მუზეუმში გაეცნობა. მაგალითად, აქ ინახება დიდი ვერცხლის ლანგარი, რომელიც ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა უსახსოვრეს ტყავის ბურთის საბჭოთა ოსტატებს, ფაიფურის უზარმაზარი ლანგარი, რომელიც ჩვენმა მოცურავეებმა გდრ-ის სპორტსმენთა ფედერაციისგან მიიღეს საჩუქრად...

მუზეუმში ნახავთ ჩვენი სპორტსმენების მიერ სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობაში მოპოვებულ პრიზებს. ესაა, მაგალითად, კალათბურთელ ქალთა გუნდების ევროპული პირველობის გარდამავალი პრიზი, რომელიც ჩვენმა სპორტსმენებმა რვაჯერ დაისაკუთრეს. იმავე პრიზს მრავალი წელია ინარჩუნებენ ჩვენი კალათბურთელი ვაჟებიც. აქაა ეროვნებათა დიდი პრიზი, რომელიც ჩვენმა მოფარიკავეებმა შარშან მოიპოვეს...

მუზეუმში ნახავთ სხვა ჯილდოებსაც. მაგალითად, მსოფლიო პირველობის გარდამავალ პრიზს, რომელიც ბურთის ჰოკეის ოსტატებმა წლეულს ჩამოიტანეს ფინეთიდან, ევროპის თასს, რომელიც ჩვენმა მოკრივეთა ნაკრებმა მოიპოვა.

სხვა ექსპონატებთან ერთად მუზეუმში სპორტულ რელიქვიად ინახება ერთ-ერთი პირველი საბჭოთა პრიზი, რომელიც 1928 წელს გადაეცა ფიზკულტურის ზამთრის საკავშირო ზეიმში გამარჯვებულ გუნდს.

ა. აშმარინი.
მოსკოვი.

ის სათავესთან

მთაში სიარულს, მთის მდინარეების გადალახვას, ვარჯიშობენ თოვლსა და ყინულზე. მერე კი უკვე პირველი კატეგორიის სიძნელის მწვერვალის დალაშქრობადაც შეიძლება გაემართოთ...

სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს ლექციებს მთამსვლელობის ისტორიიდან. ბოლოს ახალბედები სავალდებულო ნორმატივებს (როგორც პრაქტიკულს, ასევე თეორიულს) ჩააბარებენ და სსრ კავშირის I საფეხურის მთამსვლელის ნიშანს მიიღებენ.

ერთი საფეხურით მაღლა

ახალბედებზე ერთი საფეხურით მაღლა დგანან ნიშნოსნები — ამ ერთი წლის უკან თავადაც რომ ახალბედები იყვნენ, ამ სეზონში კი თანრიგების მოსაპოვებლად იბრძვიან. მათი სასწავლო პროგრამა უფრო რთულია. აგრძელებენ იქიდან, სადაც შარშან შეჩერდნენ — მწვერვალების დაპყრობიდან. ადიან მეორე „ა" კატეგორიის სიძნელის მწვერვალზე, მეორე „ბ" კატეგორიის სიძნელის მწვერვალებზე — მარჯანიშვილზე, შარი-თაუზე და სხვ.

მესამეწლიანები

მესამეწლიანები არიან თანრიგოსნები, რომლებიც ინტენსიური ვარჯიშით ხვეწენ ტექნიკას და ჯერ პირველი კატეგორიის სიძნელის მწვერვალებზე იწყებენ ვარჯიშს, შემდეგ მეორე, მესამე და ა. შ.

საერთოდ, ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ ჯგუფის ხელმძღვანელები მსჯელობენ ჩატარებულ ღონისძიებებზე, არჩევენ, რომელი სპორტსმენი იმსახურებს მეტი სირთულის მწვერვალის დალაშქვრის უფლებას: ბუნებრივია, ისინი, ვინც წინა გამოცდას გაუძლო, ხოლო „ჩაჭრილნი" კვლავ აგრძელებენ ვარჯიშს ამ უფლების მოსაპოვებლად.

უქმად არც ინსტრუქტორები არიან

ბანაკს საკმაოდ კვალიფიციური ინსტრუქტორები ემსახურებიან. მეორე ნაკადში 14 ინსტრუქტორიდან 6 სპორტის ოსტატი იყო.

ისინიც თავდაუზოგავად ვარჯიშობენ. რეჟიმი მათთვისაც რეჟიმია — დილის 7 საათზე ადგომა და 23 საათზე დაწოლა, ვარჯიშის დროს ვარჯიში, გართობის დროს გართობა. ბოლოს, რაც მთავარია, ისინი ადგენენ სპორტულ ჯგუფებს და კვალიფიკაციის ასამაღლებლად მწვერვალებზე ასვლას აწყობენ.

საჭირბოროტო საკითხები

თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ აბა, ბანაკის უფროსს გ. ჯაფარიძესა და სასწავლო ნაწილის უფროსს ი. ბაქრაძეს ჰკითხეთ — თუ არაფერი უჭირთ.

უპირველეს ყოვლისა, ბანაკს კაპიტალური შეკეთება სჭირდება. არა აქვთ საკმარისი სპორტული მოედნები, საცურაო აუზი, უკმარია სათავსოები; პურის საცხობი, სამრეცხაო. არ არის მანქანების სადგომი.

საღამოობით

ვახშამი 20 საათზეა დანიშნული. იგი ერთ საათს გრძელდება. 21 საათიდან კულტმასობრივი ღონისძიებები იწყება — ცეკვები, სიმღერები, თვითმოქმედების საღამოები. 23 საათზე კი ყველა კარავსა და ოთახში სიჩუმე დაისადგურებს.

მარტო ერთი ოთახიდან გამოდის შუქი. ეს სასწავლო ნაწილის უფროსის ოთახია, სადაც ბანაკის უფროსის თანდასწრებით ხვალინდელი დღის რეჟიმი ზუსტდება.

ლ. მუსხელაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბანაკი აილამა.
სვანეთი.

• • •

სურათზე: ინსტრუქტორთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან — სპორტის ოსტატები ი. ბერუაშვილი, შ. მარგიანი, ვ. გაბელაშვილი, ვ. ფოფხაძე და ქუთაისის სპორტული ჯგუფის წარმომადგენელი გ. წერეთლიანი.

ფოტო ავტორისა.

ყოველი მხრიდან

მკვლელი — დოპინგი

სხვადასხვა ქვეყნის გაზეთები ისევ წერენ „ტურ დე ფრანსში“ დაღუპულ სპორტსმენზე, ცნობილ ინგლისელ ველომრბოლელ ტომ სიმპსონზე (იხ. სურათი). ავინიონის ჰოსპიტლის ექიმებმა ეს-ეს არის გამოაქვეყნეს ოფიციალური ცნობა: „ინგლისელის პირველმა ზედაპირულმა გაკვეთამ სავსებით დაადასტურა, რომ იგი მოკლა დოპინგმა, რომლის მოქმედება სიცხემ გააძლიერა“.

მაგრამ ეს ამბავი გაზეთის ფურცლებიდან ერთბაშად განდევნა ევროპულ ველოტრეკებზე მომხდარი ახალი სასიკვდილო შემთხვევის მაუწყებელმა ცნობამ. ესპანეთის პროფესიონალთა პირველობის გათამაშებისას საბადელში თავისი აღსასრული ჰპოვა გამოჩენილმა მრბოლელმა ვალენტინ ურიონამ. ამ სპორტსმენის ტრაგედია როგორც ორი წვეთი წყალი ჰგავს სიმპსონის უბედურ ბოლოს. არც ურიონა გახლდათ ველოსპორტის ახალბედა. 27 წლისა, იგი 1962 წელს პროფესიონალი გახდა და უკვე 1964 წელს გაიმარჯვა მილან — ტურინის პოპულარულ რბოლასა და პროფესიონალთა საერთაშორისო კრიტერიუმში. ესპანელი ხუთჯერ ასპარეზობდა „ტურ დე ფრანსში“ (წლეულს მან მსუბუქი ტრავმის გამო არ აიღო სტარტი).

რბოლის ორგანიზატორები ისევე, როგორც სიმპსონის ტრაგედიისას, ყოველნაირად ცდილობენ ურიონას სიკვდილის ნამდვილი მიზეზების მიჩქმალვას. მრბოლელის დაღუპვის პირველი ოფიციალური ვერსია ასეთი იყო: დიდი სისწრაფით მქროლ მანქანას გადამცემი ჯაჭვი გაუწყდა, ურიონა დავარდა, თავი დაარტყა და ამან გამოიწვია მისი სიკვდილიო. მას შემდეგ, რაც რბოლის დანარჩენმა მონაწილეებმა უარყვეს ეს ზღაპარი, ასეთი განცხადება გამოჩნდა: „ურიონას სიკვდილის მიზეზებზე ჩვენ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით“.

მაგრამ ცნობილია, რომ ურიონა ეტაპის დასაწყისში ცუდად შეიქნა (იმ დღეს ორმოცგრადუსიანი სიცხე იყო) და ველოსიპედიდან ჩამოვარდნილი, პირდაპირ ექიმებს ჩაუვარდა ხელში. მის ველოსიპედს არავითარი ჯაჭვი არ გაწყვეტია. საავადმყოფოში მიყვანიდან 3 საათის შემდეგ იგი გარდაიცვალა და ერთ-ერთმა ექიმმა, რომელმაც უცნობად დარჩენა ისურვა, მრავლისმეტყველად ანიშნა შპრიცზე, როცა რომელიღაც ჟურნალისტმა იკითხა: „გაკვეთამ რა შედეგები მოგვცა?“

„კიდევ ერთი მკვდარი ველომრბოლელი. და მკვლელი ისევ დოპინგია“, — ასკვნის ავსტრიული გაზეთი „ფოლკსშტიმე“.

„მაის ბინძური ბიზნესი“

ამ სათაურით ბეჭდავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი“ მასალას მოღალატე და გარეწარ იურგენ მაიზე. „მძლეოსან იურგენ მაის ღალატმა ჩვენს რესპუბლიკაში, განსაკუთრებით კი სპორტსმენებში, რისხვა და აღშფოთება გამოიწვია“, — ამბობს გაზეთი.

მაი 1966 წლის სექტემბერში გაიყიდა ბუდაპეშტში გამართული ევროპული ჩემპიონატის დროს. დასავლეთგერმანელ ტურისტთა შორის იქ იყო ბ-ნი კარლ აიერკაუფერი, სპორტსაქონლის კონცერნ „პუმას“ სრულუფლებიანი წარმომადგენელი. ეს ტიპი აშკარად ეწეოდა გდრ-ის სპორტსმენთა გადაბირებას — ოქროს მთებს პირდებოდა იმათ, ვინც გფრ-ში გადასვლაზე დაყაბულდებოდა. იუდა მხოლოდ ერთი აღმოჩნდა — იურგენ მაი. „პუმას“ ნაწარმის მომავალი რეკლამისთვის მან დიდი ავანსი მიიღო და სამშობლოში დაბრუნებაზე უარი თქვა.

კლეის „საშინაო პატიმრობა“

ჰიუსტონის ფედერალურმა მოსამართლემ ჯო ინგრემმა ამერიკის შეერთებული შტატების დატოვება აუკრძალა კასიუს კლეის. მოსამართლემ განაცხადა: „კლეიმ დაამტკიცა, რომ მას ძალუძს ამერიკის მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება. მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მთავრობისა და იმ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში, რომელსაც მთავრობა აწარმოებს“. კლეი იაპონიაში რამდენიმე საჩვენებელი ბრძოლის გამართვას აპირებდა, მაგრამ ზემოაღნიშნული აკრძალვის გამო მას უარი ეთქვა ვიზაზე.

პროკურორმა მ. სასმენმა, ვისთანაც ახლა იმყოფება კლეის საქმე აშშ-ს ჯარში სამსახურსა და ვიეტნამთან ომში საბრძოლველად უარის თაობაზე, თქვა: „კლეის საზღვარგარეთული პასპორტი რომ მივცეთ, იგი შეიძლება სულაც აღარ დაბრუნდეს შეერთებულ შტატებში“.

ამ ბრალდებაზე ჩემპიონმა ასე უპასუხა:

„მე ვფიქრობ, სიმხდალე იქნებოდა ბედის ანაბარად მიმეტოვებინა 22 მილიონი ზანგი, დედაჩემი და მამაჩემი. მე კი მხდალი არა ვარ“.

ამას ისღა უნდა დავუმატოთ, რომ აშშ-ს ზანგების უდიდესმა ორგანიზაციამ — „შავების ძალაუფლებამ“ (იგი მოითხოვს ზანგების რაოდენობასთან პროპორციულად მათთვის ადგილების მიცემას ყველა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ორგანოში) მხარი დაუჭირა კლეის. მან მიიღო გადაწყვეტილება — ამერიკელმა ზანგებმა ბოიკოტი გამოუცხადონ მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებს იმ შემთხვევაში, თუ კლეი სავსებით არ იქნება რეაბილიტირებული და მას მსოფლიო ჩემპიონის წოდებას არ დაუბრუნებენ.

ბიზნესი სისხლზე

ბოლო ხანებში დასავლეთევროპული ქვეყნების საავტომობილო ტრასებზე თხუთმეტზე მეტი მრბოლელი და ბევრი მაყურებელი დაიღუპა. ამასთან დაკავშირებით, სპეციალურმა ტექნიკურმა კომისიამ ღირსშესანიშნავი გადაწყვეტილება მიიღო: 1968 წლიდან ყველა საერთაშორისო რბოლაში სტარტის უფლება მიეცემა მხოლოდ იმ მანქანებს, რომელთა ცილინდრი სამ ლიტრს არ აღემატება.

მაგრამ გამოქვეყნდა თუ არა ეს გადაწყვეტილება, ფედერაციას თავს დაესხა უამრავი საქმოსანი. მოწინავე საავტომობილო ფირმების წარმომადგენლებმა, რომელთაც მრბოლელთა საკუთარი „საჯინიბოები“ აქვთ, განაცხადეს, რომ არასდროს დათანხმდებიან კომისიის გადაწყვეტილებას, რომელიც რბოლაში მანქანების სისწრაფის დაკლებას ისახავს მიზნად.

ეს გასაგებიცაა: რბოლებში დიდი სისწრაფე, აჟიოტაჟი და მსხვერპლი საქმოსნებს საუკეთესო რეკლამად და მაყურებლის მიზიდვის საუცხოო საშუალებად ესახებათ.

შვიდი ქვეყნის საავტომობილო მეფეები ამ დღეებში ლონდონს შეიკრიბნენ, რათა განეხილათ საკითხი: ყველაზე უფრო ეფექტურად რა გზით ებრძოლონ ფედერაციას.

„დიდი შვიდეულის“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა: „ჩვენთვის არაა ხელსაყრელი სისწრაფის შემცირება და არც ვაპირებთ უძლური სარბოლო მანქანების აგებაზე ფულის ხარჯვას. ჩვენს ბიზნესს ხელი არავინ უნდა შეუშალოს“. ბიზნესს სისხლზე, — დავუმატებთ ჩვენ.

ფეხბურთი

ჩემპიონმა ცუდად დაიწყო

შაბათს ინგლისის ჩემპიონატის პირველივე ტური სენსაციით აღინიშნა — „მანჩესტერ იუნაიტედი“ ლივერპულში შეხვდა ადგილობრივ „ევერტონს“ და დამარცხდა — 1:3. ჩემპიონის კარში ორი გოლი გაიტანა ა. ბოლმა. სპორტული კომენტატორები აღნიშნავენ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მოულოდნელად გამოამჟღავნა არნახული სისუსტე.

სამაგიეროდ, თასის მფლობელმა — ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ უაღრესად საინტერესო და მწვავე გასვლით მატჩში დაამარცხა „ლეისტერ-სიტი“. ანგარიში ბოლო წუთებამდე თანაბარი იყო (2:2), მაგრამ ლონდონელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა სოულმა თამაშის მიწურულში შეძლო გადამწყვეტი გოლის გატანა — 3:2.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „არსენალი“ — „სტოკ-სიტი“ 2:0, „ბერნლი“ — „კოვენტრი-სიტი“ 2:1, „ფულჰემი“ — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ 1:2, „ლიდს იუნაიტედი“ — „სანდერლენდი“ 1:1, „მანჩესტერ-სიტი“ — „ლივერპული“ 0:0, „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „საუთჰემპტონი“ 3:0, „შეფილდ იუნაიტედი“ — „ნოტინგემ ფორესტი“ 1:3, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „ჩელსი“ 0:1, „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ — „შეფილდ უენსდეი“ 2:3.

(საქ. ინფ.).

სსრ კავშირის ნაკრები ემზადება

როგორც ცნობილია, 30 აგვისტოს მოსკოვში გაიმართება ევროპის ჩემპიონატის მორიგი შესარჩევი მატჩი: სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები შეხვდება ფინეთის ეროვნულ გუნდს.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ უეფა-ს გაუგზავნა ამ მატჩის განაცხადი, რომელშიც შეიტანა: მეკარეები — ა. კავაზაშვილი, ი. პშენიჩნიკოვი, ლ. იაშინი; მცველები — ვ. ანიჩკინი, ვ. აფონინი, მ. ხურცილავა, გ. ცხოვრებოვი, ა. შესტერნიოვი; ნახევარმცველები—ა. ლენიოვი, გ. ლოგოფეტი, ვ. მასლოვი, ი. საბო; თავდამსხმელები — ა. ბანიშევსკი, ა. ბიშოვეცი, ა. ესკოვი, ე. მალოფეევი, ე. მარქაროვი, გ. ნოდია, ე. სტრელცოვი, ყ. ტუაევი, ვ. ხმელნიცკი, ი. ჩისლენკო.

ჩვენი მეტოქე — ფინეთის ნაკრები ამ დღეებში ამხანაგურ მატჩში შეხვდა შვეციის ეროვნულ გუნდს და დამარცხდა — 0:2. მიუხედავად ამისა, სპეციალისტებს მოეწონათ ფინელების თამაში.

მძლეოსნურ მერიდიანებზე

კატოვიცე, 21 აგვისტო. პოლონეთის მძლეოსანთა ჩემპიონატის მთავარ მოვლენად მსოფლიო რეკორდსმენის ი. შმიდტის სამხტომი იქცა — 16,84 მ.

ნაირობი, 21 აგვისტო. ცნობილმა კენიელმა მძლეოსანმა ქ. კეინომ „ოლიმპიურ“ სიმაღლეზე (2.000 მეტრზე მაღლა ზღვის დონიდან) ერთი მილი 3 წუთსა და 58,8 წამში გაირბინა. ეს აფრიკის ახალი რეკორდია.

ბრონინგენი, 21 აგვისტო. ჰოლანდია — რუმინეთის ქალთა მძლეოსნურ მატჩში (გაიმარჯვეს ჰოლანდიელებმა — 60:57) 800 მეტრზე რბენაში გამარჯვებულმა რუმინელმა ე. სილაიმ ეროვნული რეკორდი დაამყარა — 2.05,6.

სტოკჰოლმი, 21 აგვისტო. შვეციისა და ფინეთის მძლეოსანთა მატჩში გაიმარჯვეს შვედებმა. 3.000 მ ბრწყინვალედ გაირბინა ი. კუხამ — 8.29,8. ეს ფინეთის ახალი რეკორდია. მასპინძელმა ი. დალგრენმა 214 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა დაძლია, ხოლო ოლიმპიურმა ჩემპიონმა პ. ნევალამ (ფინეთი) შუბი 82,16 მეტრზე ტყორცნა.

ვიარეჯო, 21 აგვისტო. ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსნებმა აქ ანგარიშით 123:90 მოუგეს მატჩი იტალიის ნაკრებს. აი, საუკეთესო შედეგები: 100 მ — ჯ. კარლოსი — 10,2, 400 მ — მეტიუზი — 45,2, 5.000 მ — ტ. სმითი — 13.41,0, ჭოკი — დ. რაილსბეკი — 520, ბირთვი — ნ. სტეინჰაუერი — 20,03, 400 მ თარჯრბენი — რ. უითნი (ყველა — აშშ) — 49,6.

ამჯერად საშუალო გუნდივით...

შაბათს შოტლანდიის საფეხბურთო ლიგის თასის გათამაშების მეორე ტურში გლაზგოს „სელტიკმა“ შინ მოუგო „აბერდინს“ (3:1), ხოლო „გლაზგო რეინჯერსმა“ დაამარცხა „დანდი იუნაიტედი“ — 1:0.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელმა „სელტიკმა“ სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. „თუ ამას წინათ გამართულ ამხანაგურ შეხვედრებში „სელტიკი“ პირდაპირ ბრწყინავდა, ამჯერად მან საშუალო გუნდივით ითამაშა“, — განაცხადა ბრიტანელმა კომენტატორმა ა. კლარკმა.

(საქ. ინფ.).

რელიგიური ცრურწმენის მსხვერპლი

იუგოსლავიის ქალაქ ოხრიდში მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის X ტურში ყურადღების ცენტრში იყო საბჭოთა დიდოსტატების ხოლმოვისა და გელერის შეხვედრა. მეტოქეებმა არ გარისკეს და პარტია ყაიმით დასრულდა. ყაიმით დამთავრდა, აგრეთვე, ბულგარელი პოპოვისა და იუგოსლაველი მარიჩის ორთაბრძოლა. შესანიშნავად ასპარეზობს იუგოსლაველი მატულოვიჩი, რომელმაც ამ ტურში დაამარცხა თანამემამულე მინიჩი.

ამ დღეს უსიამოვნო ინციდენტი მოხდა — მისი ავტორი ამერიკელი დიდოსტატი ფიშერი გახლდათ. აქ გამეფებულ შესანიშნავ ატმოსფეროს ფიშერის საქციელმა ჩრდილი მიაყენა. საქმე ისაა, რომ ამერიკელმა მოულოდნელად მოითხოვა მისი პარტია იუგოსლაველ კნეჟევიჩთან რელიგიური მოსაზრებებით 3 საათით გვიან დაწყებულიყო. შემდეგ მან მოითხოვა, ეს შეხვედრა ცალკე ოთახში გამართულიყო: მაყურებელი მიშლის ხელსო.

ტურნირის ჟიურიმ ფიშერის მოთხოვნები არ დააკმაყოფილა და მაშინ აშშ-ს ჩემპიონმა უარი თქვა თამაშზე. მას სავსებით სამართლიანად ჩაეთვალა წაგება.

• • •

XI ტურში ლიდერებმა — ხოლმოვმა, გელერმა და ფიშერმა თავიანთი პარტიები ყაიმით დაამთავრეს. სატურნირო ცხრილის სათავეში ხოლმოვი — 8,5 ქულა. ფიშერს 8 ქულა აქვს, გელერს — 7,5, ხოლო მატულოვიჩს — 7 ქულა და 2 გადადებული პარტია.

ახალი ამბები

● *პოლიანიცე-ზდრუი (პოლონეთი), 20 აგვისტო. მოჭადრაკეთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში კვლავ დაუმარცხებლად იბრძვის ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატი ვ. ჰორტი — 6 ქულა 7-დან. ვ. ულმანს (გდრ) 5 ქულა აქვს. შემდეგ მოდიან: ბულგარელი ნ. კოლაროვი, საბჭოთა დიდოსტატები ს. ფლორი და ს. ფურმანი — 4,5-4,5 ქულა.*



უსიტყვოდ.

ნახ. ლ. სიხარულიძისა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-80. სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11. გამომშვები — 3-93-81.